ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 255

"11" თებერვალი 2014 წ.

ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №1, ხევძმარის ქ. №1–ის მიმდებარედ, ქერჩის ქუჩაზე, ატს–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.088), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 30 იანვრის №4 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №1, ხევძმარის ქ. №1–ის მიმდებარედ, ქერჩის ქუჩაზე, ატს–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.088), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE38LB0125152101627832.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ნინიძე

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი 30 იანვარი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი გოგოლაშვილი

კომისიის აღმასრულებელი მდივანი: ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, მერაბ გუჯეჯიანი, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: კ. მშვიდობაძე, გ. ჭანკვეტაძე, ა. ბირკაძე, ზ. ბირკაძე, ჯ. მესხია, ირ. ჩირაძე, პ. სახამბერიძე, ს. თაბუკაშვილი, ო. ჯაფარიძე, დ. ჯარიაშვილი, გ. გოგოძე, ლ. ქეთელაური, რ. ჩანტლაძე, მ. პაპუკაშვილი, ზ. ხაჩიძე, გ. შელია, გ. ბოხუა, კ. გულბანი, პ. სახამბერიძე, თ. გიორგაძე, კ. კამკამიძე, თ. ჯაფარიძე, კ. მორბედაძე, მ. ტატალაშვილი, ზ. წულაია, მ. ბოლქვაძე, დ. გოქაძე, ირ. გეგელია, ალ. ამაზაშვილი, თ. ხატისაშვილი, გ. გუმუაძე, ზ. სარალაშვილი, მ. ხახანაშვილი, გ. ნასყიდაშვილი, გ. გიორგაძე, ნ. კვანჭახაძე, ე. მებონია, გრ. თოდუა, ბ. ბულაშვილი, ს. შენგელია, გ. კვარაცხელია, გ. ალავერდაშვილი, ს. ავალიანი, მ. ხაჩიძე, დ. გოგოლაძე, ივ. ახალაძე, ავ. დიასამიძე, მ. ჭუმბურიძე, გ. ბიწაძე, მ. ჩერვიაკოვა, ირ. დოლიძეკოვა, ხ. მჟავანაძე, ფ. ტატალაშვილი, მ. ხაჩიძე, გ. აბულაძე, გ. ტეფნაძე, დ. სიდამონიძე, კ. ლაბაძე, თ. თაფლაძე, გ. ნებიერიძე, ალ. სესიაშვილი, გ. მირიანაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

14. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გობრონიძის ქ. №9–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.105) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – კ. გულბანი).

15. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. №2–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – პ. სახამბერიძე).

16. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქ. №1, ხევძმარის ქ. №1–ის მიმდებარედ, ქერჩის ქუჩაზე, ატს–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.088) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – თ. გიორგაძე, კ. კამკამიძე).

17. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №105–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – თ. ჯაფარიძე, კ. მორბედაძე).

18. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზ. ჟღენტის ქ. №7ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ტატალაშვილი).

19. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, კრონშტანტის ქ. №71, ცაგარელის ქ. №73–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ზ. წულაია).

20. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალმასიანის ქ. №25–ის მიმდებარედ, ალმასიანის ქ. №25ა, ბერბუკის ქ. №10გ, ალმასიანის ქ. №25, ასლანიდის ქ. №29–ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.10.13.034.054, 01.10.13.034.053, 01.10.13.034.052, 01.10.13.034.046, 01.10.13.034.044, 01.10.13.034.043, 01.10.13.034.031, 01.10.13.034.030, 01.10.13.034.006, 01.10.13.034.005, 01.10.13.034.004) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ბოლქვაძე).

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

16. თ. გიორგაძის ინფორმაცია ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქ. №1, ხევძმარის ქ. №1–ის მიმდებარედ, ქერჩის ქუჩაზე, ატს–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.088) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – თ. გიორგაძე. AR 1193438.
დადგენილი პარამეტრები –კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=4,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქ. №1, ხევძმარის ქ. №1–ის მიმდებარედ, ქერჩის ქუჩაზე, ატს–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.088) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ2=4,5.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

17. თ. ჯაფარიძის ინფორმაცია ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №105–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე: გიორგი გოგოლაშვილი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: ლევან გეგეშიძე